დანართი №3
2014 წლის 13 ოქტომბერს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის
შესახებ კ.ნ. №08–14 (CMR 140158543) ხელშეკრულებაზე

თბილისი 15.02.2016წ.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის **მაია ქალიაშვილის** სახით, შემდგომში შემსყიდველი, ერთი მხრივ და **შპს საპროექტო-საკვლევაძიებო ინსტიტუტი „ტრანსპროექტი“**, წარმოდგენილი მისი დირექტორის **ტალი ტალიაშვილის** სახით, შემდგომში მიმწოდებელი, მეორე მხრივ, შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის – საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს 2016 წლის 15 თებერვლის №1065-2 მოხსენებითი ბარათისა და ხელშეკრულების მე-14 მუხლის 14.6 პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება საავტომობილო გზების და ხელოვნური ნაგებობების რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის შედგენაზე მომსახურების გაწევისა და ცალკეულ ობიექტებზე, საჭიროების შემთხვევაში, საავტორო ზედამხედველობის გაწევის საპროექტო მომსახურების შესახებ მხარეთა შორის 2014 წლის 13 ოქტომბერს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ კ.ნ. №08–14 ხელშეკრულებაში.
2. ცვლილებას ექვემდებარება ხელშეკრულების მოქმედების ვადა, რომელიც გაგრძელდეს 2016 წლის 25 თებერვლის ჩათვლით.
3. ზემოხსენებული ცვლილება იგულისხმება ხელშეკრულების ყველა იმ ნაწილში, სადაც მითითებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ კ.ნ. №08–14 ხელშეკრულებით განსაზღვრული ხელშეკრულების მოქმედების ვადა.
4. მიწოდებელი ვალდებულია, 2016 წლის 12 მარტამდე განაახლოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის არსებული უპირობო საბანკო გარანტია. განახლებული უპირობო საბანკო გარანტია უნდა მოქმედებდეს 2016 წლის 26 მარტის ჩათვლით. საბანკო გარანტიის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, აამოქმედოს არსებული უპირობო საბანკო გარანტია სრულად და ცამხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
5. დანართი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადით.
6. წინამდებარე დანართი წარმოადგენს პირველ პუნქტში აღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, განიხილება მის სხვა პირობებთან ერთად და ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი და პირობა რჩება უცვლელი.
7. დანართი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

| | |
|---|---|
| შემსყიდველი<br>დეპარტამენტის<br>თავმჯდომარის მოადგილე<br>მაია ქალიაშვილი | მიმწოდებელი<br>შპს საპროექტო-საკვლევაძიებო ინსტიტუტი<br>„ტრანსპროექტი“<br>დირექტორი<br>ტალი ტალიაშვილი |

211343982

204986195